პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 52 (6363)

1979 წ. 18 მარტი, კვირა. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

მზადება ფინიშის სწორზე

— **სპორტული** ტერმინოლოგიით თუ ვისარგებლებთ, შეიძლება ითქვას, რომ ყველა, ვინც ასე თუ ისე მონაწილეობს ოლიმპიადის მომზადებასთან დაკავშირებულ დიდ და რთულ საქმეში, ფინიშის სწორზე გადის, — ასე დაიწყო საუბარი საკდესის კორესპონდენტთან „ოლიმპიადა-80"-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **ი. დენისოვმა.**

● **მას შემდეგ, რაც საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა „ოლიმპიადა-80"-ის დედაქალაქად მოსკოვი დაასახელა, 4 წელზე მეტი გავიდა. რა გაკეთდა ამ ხნის განმავლობაში?**

— ძალიან ბევრი. მოსკოვში ახლა უკვე არის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ოლიმპიური თამაშების სტუმრებისა და სპორტსმენთა მიღებისა და სპორტის თითქმის ყველა სახეობაში შეჯიბრების ჩატარების შესაძლებლობა. ამავე დროს ვფიქრობ, ყველასათვის გასაგებია ჩვენი სურვილი — გავაკეთოთ ყველაფერი აუცილებელი ოლიმპიადის მაღალ ორგანიზაციულ და ტექნიკურ დონეზე ჩასატარებლად.

ახლა მოსკოვში შენდება და განახლდება სპორტული დანიშნულების, თამაშების ტექნიკური და საინფორმაციო უზრუნველყოფის 76 ობიექტი და სხვა (სულ ასეთი 99 ობიექტია). ბევრი მათგანი გადაწყვეტილია საინტერესოდ, ახლებურად. ეს განსაკუთრებით ითქმის არქიტექტურაზე.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ყველა ოლიმპიური ობიექტი შენდება „ოლიმპიადა-80"-ის საორგანიზაციო კომიტეტის, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისა და საერთაშორისო სპორტული ფედერაციების მიერ დადგენილი მაღალი მოთხოვნების გათვალისწინებით. ერთხელ კიდევ მინდა აღვნიშნო, რომ „ოლიმპიადა-80"-ისთვის აგებული ყველა ობიექტი თამაშების მერე მოემსახურება მოსკოვის, კიევის, ლენინგრადის, მინსკისა და ტალინის მცხოვრებლებს.

● **როგორც ჩანს, მხოლოდ მოსკოველი მშენებლების ძალებით რთული იყო წინაოლიმპიური მშენებლობის პროგრამის „ათვისება".**

— რა თქმა უნდა. ოლიმპიური მშენებლობა არა მარტო მოსკოველთა, არამედ საერთოდ საბჭოთა ადამიანების საქმედ იქცა. მას შეიძლება სახალხო მშენებლობა ვუწოდოთ და გასაკვირი არ არის, რომ ოლიმპიური მშენებლობის ტემპი თვიდან თვემდე იზრდება. მშენებლები ბევრი კარგი წამოწყების თაოსნები არიან.

შეჯიბრების უამრავი ფორმიდან გამოიყოფა ერთი, რომელმაც ასეთი სახელწოდება მიიღო — „მუშათა ესტაფეტა". ობიექტებზე მომუშავე მშენებელთა, მემონტაჟეთა, მომპირკეთებელთა და სხვა პროფესიის მუშათა კოლექტივები აფორმებენ თანამეგობრობის ხელშეკრულებას. „ესტაფეტა" ჩამორჩენის გარეშე მუშაობისა და ყოველი კოლექტივის მიერ გეგმისა და ურთიერთვალდებულებების შესრულების კარგი საყრდენი გახდა.

მოსკოვის თამაშების მომზადებაში დიდი წვლილი შეაქვს ლენინურ კომკავშირს. საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა ოლიმპიური ობიექტების მშენებლობა საკავშირო დამკვრელურ კომკავშირულ მშენებლობად გამოაცხადა. 19 ათასამდე ახალგაზრდა პატრიოტი ჩამოვიდა კომკავშირული საგზურით „ოლიმპიადა-80"-ის სართულების აღსამართავად.

● **130 ქვეყნის 12 ათასი სპორტსმენის გარდა, მოსკოვში სოკ-ის და საერთაშორისო სპორტული ფედერაციების კონგრესების 3500 მონაწილე, 3500 მსაჯი, ინფორმაციის საშუალებათა 7500 წარმომადგენელი და ასი ათასობით ტურისტი ჩამოვა...**

— ვხვდები რაც გინდათ მკითხოთ. ოლიმპიადის სტუმრების დასაბინავებლად და მათთვის ცხოვრების ნორმალური პირობების შესაქმნელად გათვალისწინებულია დედაქალაქში არსებული სასტუმროების გამოყენება (სულ 50 ათასამდე ადგილი), აგრეთვე, დამატებით, — თანამედროვე სასტუმროების აგება. მათ შორის იზმაილოვოს 10 — ათასადგილიანი სასტუმრო კომპლექსი, სასტუმროები — ტროპარევში, ვოლხონკა-ზილში, საერთაშორისო ახალგაზრდული ოლიმპიური ბანაკი და სხვ. ამას გარდა უნდა ავაშენოთ, გავარემონტოთ და თანამედროვე ავეჯით გავაწყოთ სტუდენტთა 230 საერთო საცხოვრებელი, აგრეთვე სასტუმროები და კემპინგები ტურისტთა მოსათავსებლად.

მნიშვნელოვანი სამუშაოები მიმდინარეობს საზოგადოებრივი კვების, საქალაქო ტრანსპორტის, სამედიცინო დაწესებულებისა და საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების ობიექტებში. კერძოდ, არსებული რესტორნების, კაფეებისა და სასადილოების გარდა შენდება საზოგადოებრივი კვების 100-მდე ობიექტი.

● **„ოლიმპიადა-80"-ის საორგანიზაციო კომიტეტის ბოლო სხდომაზე განხილული იქნა კომიტეტის მუდმივი კომისიების მუშაობის საკითხი 1978 წელს და მათი საქმიანობის ძირითადი მიმართულებანი მოსკოვის თამაშებისთვის მზადების დასკვნით ეტაპზე. რას გვეტყოდით ამის თაობაზე?**

— 1975 წელს შეიქმნა 19 კომისია — „ოლიმპიადა-80"-ის საორგანიზაციო კომიტეტის მუდმივმოქმედი ორგანოები, მათ ეკისრებათ თამაშებისთვის მზადების მიმდინარეობის კონტროლი. კომისიის 400 წევრის გარდა, მუშაობაში ჩაბმულია შემოქმედებითი მუშაკთა, ტექნიკურ ექსპერტთა და სხვა სპეციალისტების ფართო საზოგადოებრივი აქტივი.

დღეს უკვე შეიძლება ითქვას, რომ კომისიები დიდად ეხმარებიან „ოლიმპიადა-80"-ის საორგანიზაციო კომიტეტს, განსაკუთრებით ეს ითქმის კაპიტალური მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ოლიმპიურსიმბოლიკიანი ნაწარმის შერჩევისა და გამოშვების კომისიების შესახებ.

ოლიმპიადამდე დარჩენილ დროში აუცილებელია კიდევ უფრო ავამაღლოთ მუშაობის ორგანიზაციული და პროპაგანდისტული დონე, ძალ-ღონე არ დავიშუროთ, რათა მოსკოვის ოლიმპიური თამაშები გახდეს მნიშვნელოვანი ეტაპი საერთაშორისო ოლიმპიური მოძრაობის განვითარებაში, ხალხთა შორის მეგობრობისა და ურთიერთგაგების განმტკიცებაში.

(საკდესი).

სპორტულ ბაღებს — მზრუნველი ხელი!

გუშინ ცენტრალურ ველოდრომზე

გაზაფხული რიხიანად შემობრძანდა საქართველოში, დადგა ყვავილობის ხანა. ეს ის ხანაა, როდესაც თვით ბუნება კარნახობს ადამიანს — უფრო ლამაზნი ვიყოთ, მოხდენილნი! მართლაც ის დროა, რომ მეტი ლაზათი და პეწი შევძინოთ ჩვენს გარემოს, ეზოებს, ბაღებს, სტადიონებს, პარკებს, სპორტულ ბაზებს — გავალამაზოთ, შევაკეთოთ, შევღებოთ, გავამწვანოთ...

შაბათი დღის სისხამი, ნათელი დილაა. თბილისის ცენტრალური ველოდრომის ეზოში კი უკვე დუღს სიცოცხლე — ჯგუფ-ჯგუფად შესევიან ადამიანები ამ სპორტული ბაზის ტერიტორიას. ზოგი ეზოს ასუფთავებს, ზოგი მანქანებიდან ეზიდება ახლად შემოტანილ ყვავილთა ბუჩქებს...

— 130 კაცი მოვიდა დილით შაბათობაზე — გვეუბნება თბილისის ცენტრალური ველოდრომის დირექტორი **ვახტანგ ბარკალაია,** ჩვენი ბაზის მუშაკებს დღეს მხარში ამოგვიდგნენ სპორტსაზოგადოება „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს მთელი ნაკრები გუნდი ველოსპორტში (უფროსი მწვრთნელი **ნ. სენიუტინი**) და საკავშირო სპეციალიზებული ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზრდილთა სპორტული სკოლის (დირექტორი **ვ. ლეონოვი**) ნაკრების წევრებიც, რომლებიც ჩვენთან გადიან შეკრებას და სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისთვის ემზადებიან.

რასაკვირველია აქვეა საქართველოს რესპუბლიკური სპეციალიზებული ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის აღმზრდელები და აღსაზრდელები თავიანთი სკოლის დირექტორის, სპორტის დამსახურებული ოსტატის **ომარ ფხაკაძის** ხელმძღვანელობით...

საქმე კი უამრავია — უნდა დაირგოს 800 ძირი სხვადასხვა ყვავილოვანი ბუჩქი, ხეხილისა და ვაზის ნერგები, რომლებიც ველოდრომს საჩუქრად გამოუგზავნეს ლანჩხუთის „გურიის" ფეხბურთელებმა (ისინი ხომ აქ გადიოდნენ შეკრებას), ალვის ხისა და სხვა დეკორატიული მცენარეულის ნერგები. ამას გარდა წესრიგშია მოსაყვანი ველოდრომის ეზო და სხვ.

...ნარჩენებით დატვირთული მანქანა გეზს ალაყაფის კარისკენ იღებს, მეორე კი, ნერგებით დატვირთული ეზოში შემოდის.

— ტრანსპორტი თბილისის № 3 ავტოსატრანსპორტო კანტორამ (დირექტორი **ა. კოპლამაზაშვილი**) უსასყიდლოდ გამოგვიყო — გვეუბნება ველოდრომის თავკაცი, — მათ ჩვენი ბაზის შეფობა იკისრეს და სიტყვას საქმით გვიმტკიცებენ...

შაბათ დღეს ბევრმა თბილისელმა შეიტანა თავისი წვლილი დიდ სახალხო საქმეში, რომლის გადაჭრა მათ დაუსახა დედაქალაქის XXXVII პარტიულმა კონფერენციამ: — „გადავაქციოთ თბილისი სანიმუშო კომუნისტურ ქალაქად!"

დედაქალაქის მახლობლად, კერძოდ შინდისში ასობით თბილისელთა გვერდით მუშაობდა საქართველოს სპორტკომიტეტის თანამშრომელთა 40-კაციანი რაზმეულიც...

მ. შავგულიძე.

• • •

სურათებზე: შაბათობა თბილისის ცენტრალურ ველოდრომზე.

ე. ხუცურაულის ფოტო.

საბჭოთა წყვილის „ოქროს" ცეკვა

ვენა. 17 მარტი. ავსტრიის დედაქალაქში მიმდინარე მსოფლიოს პირველობაზე ფიგურულ სრიალში კვლავ ბრწყინვალედ იასპარეზეს მოსკოველმა სპორტსმენებმა ნატალია ლინიჩუკმა და გენადი კარპონოსოვმა. ათივე მსაჯმა ერთხმად მიაკუთვნა მათ პირველი ადგილი.

ვერცხლის მედლებისთვის გაჩაღებულ მწვავე ბრძოლაში იმარჯვა უნგრეთის წყვილმა — კრისტინე რეგოციმ და ანდრაშ სალაიმ. მსოფლიოს ექს-ჩემპიონები ირინა მოისეევა და ანდრეი მინენკოვი ამჯერად „ბრინჯაოს" დასჯერდნენ.

ჩემპიონატის დებიუტანტები მოსკოველი ნატალია ბესტემიანოვა და ანდრეი ბუკინი მეათე ადგილზე გავიდნენ. დასასრულს უახლოვდება ასპარეზობა ერთეულთა სრიალში ქალთა შორის. აქ ლიდერობს მსოფლიოს ჩემპიონი ანეტ პიოტჩი (გდრ). მას ფეხდაფეხ მიჰყვებიან დაგმარ ლურცი (გფრ) და ამერიკელი ლინდა ფრატიანი.

ჭადრაკი

ლიდერობს ალექსანდრია

ბელგრადში მიმდინარე 8 მარტისადმი მიძღვნილი მოჭადრაკე ქალთა ტურნირის X ტურში მსოფლიოს ჩემპიონმა მ. ჩიბურდანიძემ დაამარცხა ჰოლანდიელი ნიკოლაუ ვან დერ მიიე, ხოლო ნ. ალექსანდრიამ გადასდო პარტია იუგოსლაველ ბოშკოვიჩთან.

XI ტურში ალექსანდრიამ დაამარცხა ბაუმშტარკი (რუმინეთი), ხოლო ჩიბურდანიძემ გადასდო პარტია. ამრიგად, ალექსანდრიას 8,5 ქულა აქვს, ხოლო ჩიბურდანიძეს — 7,5 (ორივეს თითო-თითო გადადებული).

პეტროსიანის წარმატება

ტალინში დამთავრდა გამოჩენილი საბჭოთა დიდოსტატის პ. კერესის მემორიალი. ბოლო, XVII ტურში მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ტ. პეტროსიანმა დაამარცხა უნგრელი დ. საქსი, ხოლო საბჭოთა დიდოსტატმა რ. ვაჰანიანმა — ვ. კრისტიანსენი (აშშ). ამრიგად, მემორიალში გაიმარჯვა ტ. პეტროსიანმა, რომელმაც 12 ქულა დააგროვა. მას ნახევარი ქულით ჩამორჩნენ მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მ. ტალი და რ. ვაჰანიანი, რომლებმაც II-III ადგილები გაიყვეს.

დაწინაურდნენ ბალაშოვა, ზაიცევა, პოპივოდა...

მოსკოვში მიმდინარეობს მოჭადრაკე ქალთა 42-ე ჩემპიონატი, რომელშიც მონაწილეობენ საერთაშორისო დიდოსტატები ტ. ზატულოვსკაია, ე. ფატალიბეკოვა, საერთაშორისო ოსტატი მ. ზელავენეცი და სხვა. სულ 16 მოჭადრაკე. გაიმართა ოთხი ტური. დაწინაურდნენ ე. ბალაშოვა, ლ. ზაიცევა და რ. პოპივოდა, რომლებსაც 3-3 ქულა აქვთ.

● შაში

სასურველი ყაიმი

იტალიის ქალაქ არკოში დამთავრდა მატჩი მსოფლიოს პირველობაზე ასუჯრიან შაშში მსოფლიოს ჩემპიონ ჰ. ვირსმასა (ჰოლანდია) და საბჭოთა დიდოსტატ ა. განტვარგს შორის. დასკვნით, მეექვსე პარტიაში საბჭოთა დიდოსტატმა მიაღწია სასურველ ყაიმს და მატჩი მოიგო ანგარიშით 3,5:2,5. ამრიგად, მინსკელი დიდოსტატი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

განსაკუთრებული დამსახურებისთვის

ოსლოს მიდამოებში გამართულმა ჰოლმენკოლენის თამაშებმა შეაჯამა სათხილამურო რბოლებში მსოფლიოს თასების პირველი გათამაშების შედეგები. ქალთა შორის **I-V ადგილები დაიკავეს საბჭოთა სპორტსმენებმა გ. კულაკოვამ, რ. სმეტანინამ, ზ. ამოსოვამ, ნ. როჩევამ და ლ. ლიადოვამ.**

კულაკოვა და სმეტანინა სათხილამურო სპორტში თვალსაჩინო წარმატებებისთვის დაჯილდოვდა ნორვეგიის სათხილამურო სპორტის უმაღლესი ჯილდოთი — ჰოლმენკოლენის მედლებით. ასეთი პრიზები უცხოელ სპორტსმენებს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში ეძლევათ.

ვაჟთა შორის მსოფლიოს თასის მფლობელი გახდა ო. ბრო, რომელმაც 117 ქულა მოაგროვა, მეორე ადგილზეა ლ.-ე. ერიქსონი (ორივე — ნორვეგია) — 98. მესამეზე — შვედი ს.-ო. ლუნდბაკი — 95.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრობლემა, რომელიც ახლავე უნდა გადაიჭრას

მთავარი მსაჯი მაინც კმაყოფილია

უკანასკნელ წლებში ხშირად აღვნიშნავთ, რომ ქართული მხატვრული ტანვარჯიში აღმავლობის გზაზეა და დღეს, ისე როგორც არასდროს, ფართოდ და მტკიცედაა წარდგენილი ნებისმიერი რანგის საკავშირო შეჯიბრებაში. სპორტის ამ ულამაზესი, ემოციური და ხელოვნებასთან ასე მჭიდროდ მდგარი სახეობის ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები უხვად არიან მიმობნეული თითქმის ყველა საკავშირო ნაკრების შემადგენლობაში და ღირსეულადაც ამშვენებენ მათ რიგებს. არც მიღწეული შედეგებია ურიგო. ჯერ მარტო უნივერსიტეტების საკავშირო ჩემპიონატში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტანმოვარჯიშეთა სულ უკანასკნელად მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვება (I ადგილი) რადა ღირს.

სამაყო ჭეშმარიტად გვაქვს.

მაგრამ მოდით ვიყოთ ობიექტურნი და გულახდილად ვაღიაროთ: ნუთუ ქართული მხატვრული ტანვარჯიშის დღევანდელი წარმატებანი მის შესაძლებლობათა ზღვარია? დარწმუნებული ვარ, რომ არა!

დღეს ქართულ მხატვრულ ტანვარჯიშში ისეთი ნაკადი დომინირებს, რაც სრულ გარანტიას გვაძლევს მეტის, გაცილებით მეტის იმედი ვიქონიოთ. ამასთან, საკმარისია, აგრეთვე, გულდაგულ შევიხედოთ ქართული მხატვრული ტანვარჯიშის „სამზარეულოში", რომ საკმაოდ ხელშესახებ და უხვ, მაგრამ გამოუყენებელ რეზერვს წავაწყდებით. ეს არცაა გასაკვირი — მხატვრული ტანვარჯიშისთვის საქართველოში რეზერვს რა გამოლევს, მაგრამ ამ რეზერვს გამომზეურება და რაც მთავარია, შემდგომში გეგმაზომიერი გამოყენება უნდა, თანაც გონივრული და საქმისადმი უანგარო სიყვარულის მიგებით.

ამ მხრივ კი საქმე ცუდად გვაქვს, ძალიან ცუდად. მიზეზები მრავალადაა — ძველმოდური და უხეირო მწვრთნელებიდან დაწყებული (თავისი საქმისადმი უზომოდ ერთგული თითო-ოროლა მწვრთნელი-ენთუზიასტი საქმეს ვერ შველის), დამთავრებული სავარჯიშოდ და მით უმეტეს ოფიციალური შეჯიბრებების ჩასატარებლად გამოყოფილი არც თუ შესაფერისი დარბაზებით.

დღეს საუბარი გვექნება მხოლოდ ერთ ხელისშემშლელ მიზეზზე — მსაჯობაზე. ასე საგანგებოდ შეიძლება არც კი განგვეხილა ამასწინად გამართული ერთი საქალაქო შეჯიბრების სამსაჯო მხარე და ჩვეულებრივი ჟურნალისტური „წკიპურტით" დავკმაყოფილებულიყავით, მაგრამ ვითვალისწინებთ რა მოახლოებული სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის მაჯისცემას, შეგნებულად უფრო პრინციპული, პრეტენზიული სახე მივეცით წინამდებარე წერილს.

მკითხველებს ვთავაზობთ მცირე, აუცილებელ ექსკურსს არც თუ ისე შორეული წარსულიდან.

ჩვენი გაზეთის 1977 წლის 12 მაისის ნომერში, მოსწავლეთა შორის საქალაქო პირველობისადმი (მთავარი მსაჯი **გ. ქუმსიაშვილი**) მიძღვნილ წერილში „თუ მსაჯი მსაჯად არ ვარგა" ვწერდით:

„მკითხველებსა და განსაკუთრებით მხატვრული ტანვარჯიშის სპეციალისტებს ვთხოვთ სწორად გაგვიგონ: ჩვენ შეგნებულად ავუარეთ გვერდი შეჯიბრების სპორტულ მხარეს, გარკვეული მოსაზრებით არც ტექნიკურ შედეგებს ვაქვეყნებთ. და თუ ამჯერად ყურადღება მხოლოდ მსაჯთა მუშაობის ხარვეზებზე გავამახვილეთ, ეს გამოწვეულია საერთოდ ამ სფეროში შექმნილი საგანგაშო ვითარებით. ნუთუ კიდევ ახსნა-განმარტება სჭირდება იმას, რომ მსაჯთა ყოველი არაობიექტური ნაბიჯი ზიანს აყენებს და აფერხებს მხატვრული ტანვარჯიშის განვითარებას საქართველოში? ამგვარი არბიტრები და შეჯიბრების ორგანიზატორები ხელის ერთი მოსმით წყალში ყრიან მწვრთნელთა და სპორტსმენთა მრავალთვიან გარჯა-ჯაფას".

აღნიშნულ წერილს შეჯიბრების ორგანიზატორთა და მსაჯთა არამც თუ ბოდიშის მოხდის და დანაშაულის აღიარების, არამედ თუნდაც თავისმართლების იოტისოდენა ცდაც კი არ მოჰყოლია.

გავიდა ერთი წელი და აი, 1978 წლის 15 ივნისს კვლავ გაიმართა მოსწავლეთა შორის საქალაქო პირველობა (არბიტრი **ნ. სალუქვაძე**). „ლელოს" რედაქცია იძულებული გახდა კვლავ დაებეჭდა თავის ფურცლებზე საკმაოდ საგანგაშო ტონით დაწერილი შეჯიბრების ანგარიში სათაურით „მსაჯები თუ გულშემატკივრები?", სადაც ვკითხულობთ:

„ზოგიერთი მსაჯი ანგარებით მიუდგა საქმეს და დაუფარავად ცდილობდა თავისი აღსაზრდელისთვის მაღალი ქულა დაეწერა, ხოლო „სხვისთვის" — რაც შეიძლება დაბალი (ერთ მომენტში შეფასების მინიმუმი იყო 5,5 ქულა, ხოლო მაქსიმუმი — 7,5!). ეს ყველაფერი ხდებოდა შეუპოვრად, დემონსტრაციულად და, რაც ყველაზე აღმაშფოთებელია, აღსაზრდელთა თვალწინ...

...აშკარად სუბიექტურმა მსაჯობამ გაანერვიულა სპორტსმენები და მაყურებლები. მაგრამ, მთავარი მიანც ისაა, რომ არცთუ იშვიათად, ამ ვაიმწვრთნელ-მსაჯთა წყალობით სპორტსმენი თავისთვის შეუფერებელ მაღალ ადგილს იკავებს, რის გამოც ნაკრების დაკომპლექტებისას შედარებით სუსტ სპორტსმენს პრეტენზია უჩნდება რჩეულთა შორის მოხვედრისა, და თუ ასეთ სპორტსმენს მიენდო ჩვენი რესპუბლიკის ღირსების დაცვა, დიდი ფანტაზია როდია საჭირო მისი შედეგების პროგნოზირებისთვის".

კვლავ დუმილი. არავითარი რეაგირება წერილზე. დაუსჯელი ვაიმსაჯების „სამოქმედო ასპარეზი" კვლავ ხელშეუხები დარჩა და რა გასაკვირია, თუკი ასეთ ვითარებაში ყველაფერი ძველებურად, მხოლოდ კერძო ინტერესების მქონეთა ნება-სურვილზე წარიმართა.

და აი შედეგიც.

დადგა 1979 — ბავშვის დაცვის საერთაშორისო წელი და ამ დღეებში კვლავ გაიმართა დედაქალაქის მოსწავლეთა შეჯიბრება საქართველოს კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის თასზე. რატომღაც, ასპარეზობის პირველი ნახევარი ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში, მეორე ნახევარი კი — „ბურევესტნიკის" ახლადგარემონტებულ დარბაზში გაიმართა. როგორც ერთი, ისე მეორე დარბაზის მფლობელთა მიმართ შეჯიბრების ორგანიზატორებს ალბათ მადლობის მეტი რა ეთქმით, მაგრამ ჩვენ კი ერთ მცირე შენიშვნას გავაკეთებთ — „ბურევესტნიკის" დარბაზი სპორტის ამ სახეობისთვის დადგენილ სტანდარტებს არ ექვემდებარება და შეჯიბრების ჩატარება აქ არ არის სასურველი...

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ვესაუბრეთ მთავარ მსაჯს **ლ. კოკოშვილს** და ვთხოვეთ შეეფასებინა მსაჯთა ბრიგადების მუშაობა. კოკოშვილმა განაცხადა, რომ ძირითადად კმაყოფილია მსაჯობით. თუმცა იქვე დასძინა — ისევე როგორც ყველა ნებისმიერ შეჯიბრებასა და მსაჯს, აღნიშნულ ასპარეზობასაც თან ახლდა უმნიშვნელო ხარვეზებიო. „დამნაშავე მსაჯების" დასახელებაზე მან თავი შეიკავა. ამის უფლება, რა თქმა უნდა, ჰქონდა კოკოშვილს, მით უმეტეს, რომ კოლეგების არწყენინებასა და დუმილს პირდაპირ კარნახობდა იმდღევანდელი, მისი, როგორც მთავარი მსაჯის პოზიცია.

ჩვენ კი სხვა აზრისა ვართ, ამხანაგო კოკოშვილო! არსებობენ ისეთი შეჯიბრებები და მსაჯები, რომელთაც არავითარი ხარვეზები არ გააჩნიათ. ისინი უდიდეს სიამოვნებას ანიჭებენ სპორტის როგორც ჭეშმარიტ თაყვანისმცემლებს, ასევე თვით სპორტსმენებსაც. აი, იმდღევანდელი თქვენს უშუალო მფლობელობაში მყოფი შეჯიბრების მსაჯობა კი უკიდურესად აღმაშფოთებელი იყო, ხოლო რაც შეეხება კოლეგებისადმი თქვენს ასეთ „ერთგულებას", უარყოფითისადმი განგებ წაყრუებას, ეს მხოლოდ ზიანს თუ მოუტანს საერთო საქმეს.

არაობიექტურმა მსაჯობამ აღნიშნულ ასპარეზობაზე ყოველგვარ ნორმებს გადააჭარბა. ამ მხრივ განსაკუთრებით „გამოიჩინეს თავი" საკავშირო კატეგორიის მსაჯმა **ნ. სალუქვაძემ** და რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯმა **ვ. მჭედლიშვილმა**. მათ ერთგულად აუბა მხარი დანარჩენმა ექვსმა მსაჯმაც და ხელიხელჩაკიდებულებმა შეჯიბრების ბოლომდე, ყოველგვარი მორიდების გარეშე განვლეს არაობიექტურობის თავისებური, როგორც ჩანს წინასწარ დაგეგმილ-დატკეპნილი გზა.

წერილში დეტალურად არ აღვწერთ ყველა წვრილმან სამსაჯო დარღვევასა და ტურნირის უსიამოვნო მომენტს, ვინაიდან იმედი გვაქვს ამაზე ალბათ კიდევ ვიმსჯელებთ, ამჯერად უკვე კომპეტენტურ პირებთან ერთად, ახლა კი აღვნიშნავთ მხოლოდ ძირითად ხარვეზებსა და არაობიექტურობის რამდენიმე ფაქტს.

ყველაზე თვალშისაცემ და დასანან „შეცდომად" უნდა ჩაითვალოს ამა თუ იმ სპორტსმენის მიერ შესრულებულ ვარჯიშებში ჩართული სიძნელის ელემენტების „გაუთვალისწინებლობა". ასე განსაჯეთ, ზოგიერთი სპორტსმენის ვარჯიშში ჩართული სიძნელის ელემენტი იმდენად მცირე იყო, რომ ქულების დარიცხვა მხოლოდ 6-დან, ხანდახან უფრო ნაკლები ქულიდანაც უნდა წარმოებულიყო. თუმცა ხშირად, ძალიან ხშირად, ყოველგვარი მორიდების გარეშე ქულები 10-დან იანგარიშებოდა. ბუნებრივია, ხდებოდა პირიქითაც — ვარჯიში, რომელიც იმსახურებდა ქულების დარიცხვას 10-დან, იანგარიშებოდა მხოლოდ 8-დან. ოქმები კი ივსებოდა და ივსებოდა წაღმა-უკუღმა მინიჭებული ქულებით. მარტო ამ „მცირე ხარვეზებს" თუ გავითვალისწინებთ, ძნელი წარმოსადგენი როდია, თუ როგორი „ობიექტურობით" უმუშავია ამ დღეს სამსაჯო სასწორს.

კომპოზიციაში დაუმსახურებლად ხელმოცარული ზოგიერთი ნორჩი სპორტსმენი ვარჯიშის ტექნიკურად, რაც შეიძლება მაღალ დონეზე შესრულების ხარჯზე ცდილობდა დაკარგულის მაქსიმალურად ანაზღაურებას. მაგრამ ნურას უკაცრავად. ახალგაზრდა სპორტსმენებზე „მონადირე" ყოვლისშემძლე მსაჯებს აქაც ჰქონდათ დაგებული უხილავი ხაფანგი, თანაც სრულიად მარტივი — ხუჭავდნენ თვალებს მაშინ, როდესაც არ სურდათ ტექნიკური წუნის დანახვა, ხოლო საწინააღმდეგო შემთხვევაში კი გაფაციცებით ეძებდნენ და „პოულობდნენ" კიდეც არარსებულ შეცდომებს.

ვიმეორებ, რომ რვავე მსაჯს, რომელთაც ტონს აძლევდნენ ნ. სალუქვაძე და ვ. მჭედლიშვილი, აღნიშნული შეცდომები არც უცოდინარობითა და არც მექანიკურად მოსდიოდათ. მათი აშკარა ტენდენციური მოქმედება შეგნებულ და შეთანხმებულ ხასიათს ატარებდა, ხოლო ერთმანეთში საერთო ენის გამონახვა კი მაინც და მაინც რთულ პრობლემას არ წარმოადგენდა, ვინაიდან ისინი სულ ახლოს, ტყუპ-ტყუპად იყვნენ მოკალათებული მაგიდასთან.

საწყენი და დასანანი აღნიშნულ შეჯიბრებაზე მარტო ზემოხსენებული როდი იყო. ორმაგად დასანანი გახლდათ ის, რომ სპორტის იმდენ მესვეურებსა და სპეციალისტებში, საქართველოს მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა უფროსი მწვრთნელის ნელი სალაძის გარდა (რომელმაც არაერთხელ მიმართა პროტესტით მსაჯებს), არავის არ აღმოაჩნდა არც გამბედაობა და არც სურვილი შეეჩერებინა მსაჯთა თავგასულობა, თუმცა ეს მათ პირდაპირ მოვალეობასაც კი შეადგენდა.

ბავშვები [illegible]

ბავშვებმა, რომელთათვის წლევანდელი წელი გამორჩეულია და ყველგან და ყველასაგან განსაკუთრებულ სითბოსა და მზრუნველობას მოელიან, მორჩილად დაამთავრეს ასპარეზობა. დარიგდა სიგელებიც და თანრიგებიც.

ახლა კი სალად გავაანალიზოთ მსაჯთა დათვური სამსახურის შედეგი: რა ფასი აქვს ასეთ დაუმსახურებელ სიგელებსა და გაუფასურებულ თანრიგებს? დაგვეთანხმებით, არავითარი. თუ ამას დავუმატებთ იმას, რომ საერთოდ სპორტის ნებისმიერი სახეობა ბავშვისთვის სულიერი და ფიზიკური გაფურჩქვნის უშრეტი წყაროა, ხოლო ამ დღეს კი პირიქით, მრავალმა ნორჩმა სპორტსმენმა თავისებური ტრავმა მიიღო და სიყალბის ნიმუშებიც მრავლად იხილა, ადვილი წარმოსადგენია დანაშაული, რაც აღნიშნული ასპარეზობის მსაჯებს (მათ შორის უმრავლესობა მოქმედი მწვრთნელიცაა) მიუძღვით. ამაზე მათ აუცილებლად უნდა აგონ პასუხი.

წინამდებარე წერილს შემთხვევით როდი წავუმძღვარეთ ამონაწერები შარშანდელ და შარშანწინდელ შეჯიბრებათა ანგარიშებიდან. როგორც აღვნიშნეთ, მაშინ ამ კრიტიკულ წერილებს არავინ გამოხმაურებია. და აი ახლა, როდესაც იმ ორ წერილს აღნიშნულიც დაემატა, დაბეჯითებით ვთხოვთ სპორტის ამ სახეობის მესვეურებს ნუ დატოვებენ კვლავ უყურადღებოდ წერილის კრიტიკულ მხარეს, ძველსა და ახალს. ჩვენი მიზანი მარტივია — სააშკარაოზე გამომზეურდნენ ისინი, ვინც განუკითხავად ყველგან აფათურებენ ხელს მხოლოდ მათთვის გასაგები მიზნით, ისინი, ვისაც არ შესტკივათ გული ქართული მხატვრული ტანვარჯიშის შემდგომი განვითარებისთვის...

ორი ნაბიჯილაა საკავშირო, უფრო ნაკლები კი — საქართველოს სპარტაკიადამდე: კიდევ ერთხელ შევამოწმოთ ჩვენი მზადყოფნის ყველა უბანი, ამ ორ უდიდეს და მთავარი ეტაპისთვის ოპტიმალურ დონემდე ავიყვანოთ ჩვენი რეზერვები და შესაძლებლობანი.

ა. გოგოლაშვილი.

* * *

სურათებზე: ზევით — ევროპის პირველი ჩემპიონი გალიმა შუგუროვა; ქვევით — რესპუბლიკის ერთ-ერთი უძლიერესი ტანმოვარჯიშე მარინე მორბედაძე.

გამარჯვება „პრავდის" პრიზებზე

მასპინძლებს ხვდათ

ცხინვალის ვ. ი. ლენინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში ჩატარდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პირად-გუნდური პირველობა მძლეოსნურ კროსში „პრავდის" პრიზებზე. სტარტზე გამოვიდა ქ. ცხინვალის, ჯავის, ლენინგორის, ზნაურისა და ცხინვალის რაიონების 80-მდე სპორტსმენი.

800 მეტრზე მორბენალ გოგონებს შორის გაიმარჯვა ჯაველმა ზ. ძაგოევამ, 1500 მეტრზე შეჯიბრება მოიგო ცხინვალელმა დ. გუჩმაზოვამ, ხოლო ქალთა შორის 2000 მეტრზე პირველი იყო ლ. ჯიოევა, (ცხინვალის რაიონი).

ჭაბუკებს შორის 2000 მეტრზე

აჭარაძე (ცხინვალი), მისმა თანაგუნდელებმა ვ. მელქოევმა და ვ. გათიკოევმა პირველობა მოიპოვეს 3000 და 8000 მეტრზე ასპარეზობაში, ხოლო 5000 მეტრზე რბენაში ჩემპიონი გახდა ვ. კოჩიევი (ცხინვალის რაიონი).

გუნდური გამარჯვება და გარდამავალი თასი მასპინძლებს ხვდათ — 89 ქულა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ჯავისა და ლენინგორის რაიონების ნაკრები კოლექტივები. ამ გუნდებმა 115-115 საჯარიმო ქულა მიიღეს, მაგრამ, ვინაიდან საპრიზო ადგილები ჯაველებს მეტი აღმოაჩნდათ, მეორე ადგილი მათ დარჩათ.

ვ. მელქოევი.

(ჩვენი კორ.)

ჩვენი გამოსვლის შემდეგ

„სად ითამაშონ ბურთი?"

ამ სათაურით 1978 წლის 20 დეკემბერს გაზეთ „ლელოში" გამოქვეყნდა ლანჩხუთის რაიონის სოფელ ლესის ახალგაზრდების წერილი, რომელშიც საუბარი იყო იმაზე, რომ სოფელში არსებული ფეხბურთის სათამაშო მოედანი გაუქმებულია და მის ტერიტორიაზე დაიწყო ჩაის ფაბრიკის მშენებლობა.

სოფლის ახალგაზრდების გულისტკივილი სიმართლეს შეესაბამება.

ამ საკითხთან დაკავშირებით რაიონის ფიზკულტურის კომიტეტმა და „კოლმეურნის" რაისაბჭომ სოფლის ხელმძღვანელებთან შეთანხმებით გაატარეს შესაბამისი ღონისძიებანი. სოფლის ცენტრში ფეხბურთის სათამაშო მოედნის მოსაწყობად გამოიყო მიწის ნაკვეთი. იქვე მოეწყობა ფრენბურთის, კალათბურთის და ხელბურთის სათამაშო მოედნები თავისი სათავსოებით. აღნიშნული სამუშაოები დაიწყება უახლოეს დღეებში, მოედნების ექსპლუატაციაში გადაცემა გათვალისწინებულია წლეულს, სექტემბერში.

ი. მექვაბიშვილი,
„კოლმეურნის" ლანჩხუთის რაისაბჭოს თავმჯდომარე.

დ ა ჯ ი ლ დ ო ე ბ ა

სპორტული აკრობატიკის განვითარებაში დიდი წვლილისთვის, მაღალი კლასის სპორტსმენთა მომზადებისა და დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა საპატიო სიგელით დააჯილდოვა სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი **მ. ქელეხსაშვილი.**

კარის დარაჯი

როცა სსრ კავშირის წყალბურთელთა წლევანდელი ჩემპიონატის მატჩებს ვადევნებდი თვალს, გაოცებული ვიყავი თბილისის „დინამოს“ კარის დარაჯის — მიხეილ გიორგაძის აუღელვებელი თამაშით. ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად ასე ჩანდა — საოცრად მშვიდი, დაუძაბავი სახე. მშვიდად გამოიყურებოდა მაშინაც, როცა მის კარში პენალტს ტყორცნიდნენ. მაგრამ მერე, როცა ვნახე პრესაში გამოქვეყნებული სურათები, სადაც ჩვენს კართან სახიფათო მომენტები იყო აღბეჭდილი, დაძაბული, დაკუნთული და ყურადღებად ქცეული გიორგაძის ცნობა გამიჭირდა. ფოტორეპორტიორებს კულმინაციური მომენტები დაუჭერიათ.

ბოლოს, როცა რედაქციაში გიორგაძეს ვესაუბრებოდი, ისევ იმ საოცრად მშვიდ, აუღელვებელ და, ცოტა არ იყოს, ბავშვურ გამომეტყველებას ვხედავდი.

— გაზეთებში, როცა ჩემს ასაკს მიუთითებენ, სხვადასხვანაირად წერენ — ხან ოცი წლისა ვარ, ხან ოცდაორის, — ღიმილით გვეუბნება — მე კი მხოლოდ ჩვიდმეტისა ვარ...

ამ ასაკში სწორედ რომ საამაყოა თბილისის „დინამოს“ ძირითად შემადგენლობაში თამაში, მაგრამ გიორგაძეს ჩვენი ქვეყნის წყალბურთელთა ახალგაზრდული ნაკრების სახელიც ღირსეულად დაუცავს. თუმცა, ამაზე ქვემოთ, მანამდე კი ჩვენს საუბარს დავუბრუნდეთ.

როცა წლევანდელი ჩემპიონატის თბილისის ტური დამთავრდა და მერე ტაშკენტის ბრძოლებისთვის ემზადებოდნენ, გიორგაძემ გვითხრა, მეორე წრეში აუცილებლად უნდა მოვხვდეთ ექვს საუკეთესოთა შორის, რომ უკეთესი ადგილისათვის გავაგრძელოთ ბრძოლაო. თან დაგვაიმედა — მჯერა, უეჭველად შევძლებთო.

და შეძლეს კიდეც...

• • •

მიშა გიორგაძე 11 წლისა იყო, როცა ქუთაისში „განთიადის“ საცურაო აუზების კომპლექსი ჩადგა მწყობრში. ბიძამისმა იფიქრა, ბავშვმა ცურვა აუცილებლად უნდა იცოდესო და...

თვენახევარში ქუთაისის მოცურავეთა შეჯიბრება გაიმართა. 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ყველას აჯობა... გიორგაძემ. მერე იყო და წყალბურთელთა მწვრთნელი ზურაბ კაკოვიჩი შეუჩნდა, მაღალი ხარ, შენგან კარგი მეკარე დადგებაო და ჩააყენეს კიდეც კარში.

— მეკარეობა არაფრად მეპიტნავებოდა — წინ, თავდასხმაში მინდოდა თამაში, მაგრამ ბოლოს ისე შევეჩვიე, რომ ზოგჯერ ვარჯიშის შემდეგ ისევ აუზში ვრჩებოდი. იმ დროს ქუთაისელი წყალბურთელები ხოსო უგულავა და ელგუჯა ფესტვენაძე თბილისის „დინამოში“ თამაშობდნენ. როცა ჩვენთან ჩამოდიოდნენ, ნიადაგ რჩევა-დარიგებას მაძლევდნენ, თან მავარჯიშებდნენ.

• • •

წყალბურთში გიორგაძის დებიუტი მოსწავლეთა რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე შედგა. ქუთაისელებმა II ადგილი დაიკავეს თბილისელთა შემდეგ, ხოლო გიორგაძემ საუკეთესო მეკარის პრიზი მოიპოვა. მას შემდეგ მრავალჯერ დაიმსახურა ასეთი პრიზი, რესპუბლიკურ ჩემპიონატებში „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობებში თუ საკავშირო ტურნირებზე.

— 1975 წელს თბილისის „დინამოში“ სათადარიგო მეკარედ ამიყვანეს. პირველი მეკარე — გულედანი, როცა წყალბურთს გამოეთხოვა, მერეც ხშირად მოდიოდა ჩვენთან, მავარჯიშებდა. ბევრი რამ მასწავლა.

გიორგაძემ თავი გამოიჩინა მაშინაც, როცა სსრ კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად „საერთაშორისო წყლებში“ გავიდა, შარშან კი ევროპის ჩემპიონიც გახდა ახალგაზრდებს შორის.

— ჩემპიონატი ბუდაპეშტში ჩატარდა — „ბელა კომიადის“ აუზში 17 ქვეყნის წყალბურთელებმა მოვიყარეთ თავი. მათ შორის ესპანეთის, უნგრეთის, საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, იტალიის, ჩეხოსლოვაკიისა და სხვათა გუნდებმა. ჩემი თამაშებიდან ყველაზე მეტად ესპანელებთან ბრძოლას გამოვარჩევ. მანამდე, როცა ამ ჩემპიონატისთვის ვემზადებოდით, ბარსელონაში გამოვდიოდით დიდ საერთაშორისო ტურნირში. 14 გუნდი მონაწილეობდა. იქ ესპანელებმა გვაჯობეს. ჩვენ II ადგილი დავიკავეთ. ძალიან გვინდოდა რევანშის აღება, და აი, ჩვენ და ესპანელები ევროპის ჩემპიონატის ერთ ქვეჯგუფში მოვხვდით. ჩვენ გავიმარჯვეთ, ერთი პენალტი ავიღე. სხვათა შორის, „ბელა კომიადის“ აუზში ჩემი თბილისელი თანაგუნდელი გელა ტუკვაძეც გამოდიოდა. დაძაბულ ბრძოლებში მოვიპოვეთ ევროპის ჩემპიონის ოქროს მედლები...

„დიახ, საბჭოთა წყალბურთელებმა გამარჯვება მოიპოვეს უაღრესად რთულ და დაძაბულ ბრძოლაში... საერთო აზრით, საბჭოთა გუნდი დაკომპლექტებული იყო უაღრესად ძლიერი და თანაბარი დონის მოთამაშეებით. და თუ ყველა წყალბურთელი გამოავლენდა თავის პოტენციურ შესაძლებლობებს, მაშინ მათი გამარჯვება კიდევ უფრო შთამბეჭდავი იქნებოდა. განსაკუთრებით ბევრი თბილი სიტყვების მოსმენა შეიძლებოდა გიორგაძის, პილოიანის, ივანოვისა და მშვენიერაძის მისამართით, რომლებმაც არა მხოლოდ ოსტატობის საკმაოდ მაღალი დონე გამოავლინეს, არამედ საუკეთესო მებრძოლის ხასიათიც“.

ამას გაზეთი „სოვეტსკი სპორტი“ წერდა.

— ჩემი, როგორც მეკარის ყველაზე დიდი ნაკლი? — კითხვას გვიბრუნებს ახალგაზრდებს შორის ევროპის ჩემპიონი და ცოტაოდენი დაფიქრების შემდეგ გვეუბნება:

— ზოგჯერ, თამაშის დროს, როცა ხიფათს არ ველი, „ჩათვლემა“ ვიცი. ეტყობა, ამას მეტოქენიც ამჩნევენ და...

კარგია, როცა კაცი საკუთარ ნაკლს ხედავს. ასეთი სპორტსმენი არასოდეს „გაიყინება“ ერთ ადგილზე.

ა. რაჭველიშვილი.

• • •

სურათზე: მ. გიორგაძე.

ე. ხუცურაულის ფოტო.

ჩვენი ოლიმპიური იმედები

როცა ჩვიდმეტისა ხარ!

მალხაზ ბერუაშვილი მაღალი, ჩაფსკვნილი ძიუდოისტია. კისრულით და ბრუნით გდება მართლაც რომ კარგად გამოსდის.

ბიძამისისგან თუ ისწავლა!

დურმიშხან ბერუაშვილი სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი და ევროპის პრიზიორი იყო. ისიც ასე წამოიღებდა ხოლმე მეტოქეს და ბეჭებით გააკრავდა.

ბერუაშვილები ერთმანეთს ჰგვანან გარეგნობით, ქცევით, ვაჟკაცური ჭიდაობით.

— თბილისის საერთაშორისო ტურნირს ვესწრებოდი, ერთი იაპონელის ჭიდაობა მომეწონა, მსუბუქ წონაში გამოდიოდა. იგებდა. თითქმის ჩემპიონი იყო. ორთაბრძოლის დამთავრებამდე 50 წამი რჩებოდა, მაგრამ მაინც არ მოეშვა მეტოქეს. უბრალოდ, უკანდახევა არ იკადრა. წააგო. ჯერ გული დამწყდა, მერე ძალიან გამეხარდა. ლამაზად და ვაჟკაცურად ჭიდაობდა.

— რა უნდა ჰქნას სპორტსმენმა, თუკი მეტოქის ეშინია?

— არ უნდა ეშინოდეს. რამაზ ხარშილაძეს არავისი ეშინია.

სოფელ ფცაში ყოველი გაზაფხულის ბოლოს იმართებოდა ქართული ჭიდაობა. ზოგჯერ მსაჯობისათვის შოთა ჩოჩიშვილსაც მიიწვევდნენ ხოლმე. მაშინ უნდა გენახათ იქაური ბიჭების სიხარული.

— მეზობლები ვართ, შოთა ჩოჩიშვილი ჩემს რაიონში ცხოვრობს.

— ფცა ხომ ქარელის რაიონშია?

— მერე რა. ჩემი სოფელი გორთან უფრო ახლოსაა.

ან კი რა განსხვავებაა, როცა გულით გინდა დიდი სპორტსმენი დაიჩემო.

მერვე კლასი რომ დაამთავრა, თბილისში გადმოიყვანეს, ჩოჩიშვილსა და ძიუდოზე შეყვარებული ბიჭი უკეთესად ივარჯიშებსო.

ეს იყო 1976 წელს.

ორი წლის შემდეგ ახალგაზრდა სპორტსმენს უკვე დაუგროვდა სათქმელი. საქართველოს ორგზის ჩემპიონი, ჭაბუკთა საკავშირო პირველობის პრიზიორი, სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის“ ჩემპიონი. ეს ყველაფერი 1978 წელს მოხდა.

— შენზე მითხრეს ბიჭებმა: თუ დასჭირდა, ხუთს ერთად გაუმკლავდებაო. ტატამზე გასვლისას ხომ რა გეშინია? იქ მაინც სხვანაირი გულადობაა საჭირო.

— რა ვიცი. ჯერჯერობით არა. მერე, დიდ სპორტსმენებს რომ შევხვდები, იქნებ შემეშინდეს კიდეც.

— მაშ ღირსეული მეტოქე ჯერ არ შეგხვედრია?

— როგორ არა, ბევრიც. ერთია, ზესტაფონელი ხუსკივაძე, ორჯერ წავაგე მასთან. საქართველოს პირველობაზე კი მოვუგე. მაგრამ მეორე მოგება ისევ ჩემზეა...

მალხაზი ახლა სსრ კავშირის ჩემპიონატისათვის ემზადება.

ოლიმპიადამდე კი ერთი წელიღა რჩება. იქნებ ბევრი აღარაფერი მოესწროს ამ დროში, მაგრამ 4 წლის შემდეგ ხომ ისევ მოვა ოლიმპიადა და, 5 წელიწადი რა არის, როცა სულ 17-სა ხარ.

მ. მოკვერაშვილი.

„ბურევესტნიკი“ მტკიცედ ლიდერობს

მონჩეგორსკში დამთავრდა სამთომოთხილამურეთა საკავშირო გუნდური ჩემპიონატის ბოლოსწინა, V ტურის შეჯიბრება სპორტკლუბ „სევერონიკელის“ პრიზზე. აქ ყველას სპარტაკელებმა აჯობეს, მაგრამ 5 ტურის ჯამში ლიდერობას

კრები, რომელსაც 1341 ქულა აქვს. „სპარტაკი“, რომელიც II ადგილზეა, 1236 ქულა აქვს. ჯერჯერობით III ადგილი უკავია „დინამოს“ — 853 ქულა, ხოლო შეიარაღებული ძალების სპორტსმენებმა IV ადგილზე გადაინაცვლეს.

ბრებები სლალომსა და გიგანტურ სლალომში. ქალთა შორის ორივე დისტანცია მოიგო ნ. ზელოვამ („ბურევესტნიკი“) — 1.25,4 და 1.53,2 შესაბამისად, ხოლო ვაჟებში ორივეჯერ გამარჯვებული გამოვიდა სპარტაკელი ვ. სინეტოვი — 1.31,64 და 2.12,9.

დისკრიმინაციის გზაზე

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მორიგი სესია გაიმართება აპრილში ურუგვაის დედაქალაქ მონტევიდეოში. სხვა საკითხებთან ერთად, სესიაზე ერთხელ კიდევ გაიმართება საუბარი ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის (ფიფა) იმ უცნაურ გადაწყვეტილებაზე, რომლის თანახმადაც ევროპისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებს არა აქვთ უფლება მოსკოვის ოლიმპიადაში გამოიყვანონ ფეხბურთელები, რომლებიც ადრე მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობდნენ.

ფიფა-მ ეს დისკრიმინაციული გადაწყვეტილება მიიღო გასულ წელს ბუენოს-აირესში. მაშინ, ლათინური ამერიკის ქვეყნებმა მტკიცე პოზიცია ვერ დაიკავეს და ფიფა-ს პრეზიდენტს ჟოაო აველანჟს საშუალება მისცეს დაუბრკოლებლად გაეტანა ეს ახირებული წინადადება. სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ეროვნული ფედერაციები გონს მოვიდნენ მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ, მაგრამ წაგებული ბრძოლის შემდეგ მუშტების ქნევას აღარ ჰქონდა აზრი. ისინი უსიამოვნო ფაქტის წინაშე აღმოჩნდნენ და იძულებული გახდნენ ბედს შერიგებოდნენ.

ახლა კი, მონტევიდეოს სესიის წინ ახალი ძალით იფეთქა პროტესტის ტალღამ, მაგრამ საეჭვოა, რომ ფიფა-მ შეცვალოს თავისი პირვანდელი გადაწყვეტილება. ამის წინათ შვეიცარიაში გამართულ პრესკონფერენციაზე ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა ჟ. აველანჟმა პირდაპირ განაცხადა: „თუ ოლიმპიური კომიტეტი წინ აღუდგება გადაწყვეტილებას, რომელმაც უკვე კანონის ფორმა მიიღო, ჩათვალეთ, რომ ფეხბურთი აღარ შევა XXII ოლიმპიური თამაშების პროგრამაში“. აველანჟის მუქარამ გარკვეული შთაბეჭდილება მოახდინა სოკ-ის ნერვებზე, რომლებიც გრძნობენ, რომ ფიფა-ს პრეზიდენტმა ოსტატურად გააცურა ესოდენ სოლიდური ორგანიზაცია.

რას ეყრდნობა აველანჟის პოლიტიკა და დიპლომატია? რისთვის იბრძვის იგი და რა კონკრეტულ მიზანს ისახავს ეს აშკარად დისკრიმინაციული გადაწყვეტილება? პრეზიდენტი თითქოს შეწუხებულია იმით, რომ სამოყვარულო სპორტი ნელ-ნელა ჰკარგავს დასაყრდენს და ამით იბღალება ოლიმპიზმის იდეა. მაგრამ თავის სათქმელს ბოლომდე არ ამბობს. აველანჟის შეშფოთების ნამდვილი მიზეზი ის არის, რომ 1952 წლიდან მოყოლებული ფეხბურთელთა ოლიმპიურ ტურნირებში წარმატებას სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენლები აღწევენ. თავად განსაჯეთ, ბოლო შვიდ ოლიმპიადაში სამჯერ ჩემპიონი იყო უნგრეთი და თითოჯერ სსრ კავშირი, იუგოსლავია, პოლონეთი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. პრეზიდენტს ავადმყოფური სურვილი აქვს წინ აღუდგეს მისთვის ამ უსიამოვნო კანონზომიერებას და რაღაც არარსებულ არგუმენტებს იშველიებს.

საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ ერთ-ერთმა პირველმა აღიმაღლა ხმა ამ დისკრიმინაციული გადაწყვეტილების წინააღმდეგ. მას მოგვიანებით მხარი დაუჭირა ლათინურმა ამერიკამაც. პრეზიდენტს ცხადად დაუმტკიცეს მისი დებულების უსაფუძვლობა. თუ შეზღუდვაზეა ლაპარაკი, და ეს შეზღუდვა გარკვეული ქვეყნების წინააღმდეგ არ არის მიმართული, რა შუაშია მხოლოდ ევროპა და სამხრეთ ამერიკა? განა შეიძლება კანონი ერთის მიმართ ლმობიერი იყოს, მეორის მიმართ კი მკაცრი?

აველანჟი ამბობს: — „ჩვენი შეზღუდვა არამც და არამც არ დააზარალებს ევროპის ან სამხრეთ ამერიკის გუნდებს, ვინაიდან ძნელი დასაჯერებელია, რომ სხვა კონტინენტებმა შეძლონ ღირსეული გუნდების გამოყვანა ოლიმპიადაზე“. ჯერ თვით საკითხის ამგვარი დაყენებაა აბსურდი: მე თუ ჩემს მეტოქეებზე ძლიერი ვარ, ეს, პირველ ყოვლისა, ჩემი ღირსებაა და არავის არა აქვს უფლება ხელოვნურად გაათანაბროს ძალები.

კიდევ უფრო „გულუბრყვილო“ ადამიანი გეგონებათ აველანჟი, როცა მოსკოვის ოლიმპიადაზე საუბრობს: „საბჭოთა კავშირში უყვართ ფეხბურთი. ტრიბუნები იქ მაშინაც სავსეა, როცა ახალგაზრდული გუნდები თამაშობენ. მე დარწმუნებული ვარ, რომ ოლიმპიურ ტურნირს ყოველთვის მაყურებელი ეყოლება“. საბჭოთა კავშირში მართლაც უყვართ ფეხბურთი. ისიც მართალია, რომ გულშემატკივრები ხალისით დადიან სტადიონებზე, როცა ახალგაზრდები თამაშობენ. და ბოლოს არც ჩვენ გვეპარება ეჭვი იმაში, რომ ოლიმპიურ ტურნირს ეყოლება მაყურებელი, მაგრამ განა შეიძლება ამის გამო დისკრიმინაციული კანონების მიღება?

მაგრამ როცა აველანჟს საგულდაგულოდ უტევენ და ამ გადაწყვეტილების აბსურდულობას უმტკიცებენ, იგი მიამიტი კაცის სახეს იღებს. ასეთ დროს მართლაც ყველაზე ადვილია სირაქლემას პოზის მიღება. მე რა შუაში ვარ, — ხმამაღლა აცხადებს პრეზიდენტი, — კანონი საერთაშორისო ფედერაციამ დაამტკიცა და მეც, თქვენთან ერთად, უსიტყვოდ ვემორჩილები მას. მე თუ მკითხავთ, ოლიმპიურ თამაშებში მხოლოდ იმ ფეხბურთელებს დავუშვებდი, რომელთა ასაკი არ აღემატება 24 წელს. „ჩემი საქმეა, — ამბობს შემდეგ იგი, — თვალი ვადევნო იმას, თუ როგორ სრულდება კონგრესის გადაწყვეტილება. მისი შეცვლა კი არ შემიძლია“.

ფიფა-ს თავისი წესდების თანახმად მართლაც არ შეუძლია არაფერი შეცვალოს მომავალ კონგრესამდე. ეს კონგრესი კი მხოლოდ 1980 წელს გაიმართება ციურიხში. ასე რომ, დისკრიმინაციის გაუქმებაზე ლაპარაკი შესაძლებელი გახდება მხოლოდ მაშინ, როცა 1984 წლის ოლიმპიური თამაშების პროგრამის განხილვა დაიწყება.

როგორც ხედავთ, აველანჟმა თავისი გაიტანა და ძნელი დასაჯერებელია, რომ სოკ-ის აპრილის სესიამ შეცვალოს რამე ამ საკითხთან დაკავშირებით. მაგრამ კრიტიკა პრეზიდენტისა და ფიფა-ს მისამართით დღემდე არ წყდება. აი ევროპის ზოგიერთი სააგენტოსა და სპორტულ მოღვაწეთა მოსაზრება ახალ კანონთან დაკავშირებით.

„ფრანს პრესი“: „საერთაშორისო ფედერაციამ სამწუხაროდ დაამტკიცა გადაწყვეტილება, რომელიც არგენტინის მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილეებს ოლიმპიურ ტურნირში გამოსვლის უფლებას ართმევს. აველანჟმა ხელი მოაწერა აშკარად დისკრიმინაციულ კანონს, რომელიც არ შეესაბამება თანამედროვე სპორტის შინაგან ბუნებას“.

მოჰამედ მზალი (ტუნისი, სოკ-ის ვიცე-პრეზიდენტი): „მე ძალზე მიჭირს დავეთანხმო ფიფა-ს გადაწყვეტილებას. იგი აშკარად დისკრიმინაციული ხასიათს ატარებს ევროპისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების მიმართ“.

მაიკლ კილანინი (საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი): „სოკ-ის აღმასკომის წევრები, ისევე როგორც პირადად მე, ვფიქრობთ, რომ ფიფა-მ დისკრიმინაციული გადაწყვეტილება მიიღო. ჩვენც, რა თქმა უნდა, ბრალი მიგვიძღვის ამაში, მაგრამ აღმასკომმა შეგნებულად მოარიდა თავი კონფლიქტს ესოდენ ავტორიტეტულ ფედერაციასთან. დღეს ჩვენ არა გვაქვს სხვა ალტერნატივა. სიტუაცია უნდა მივიღოთ ისე, როგორც, სამწუხაროდ, წარმოდგენილია“.

„ეკიპი“ (საფრანგეთი): „როგორც კი დამთავრდება მოსკოვის ოლიმპიადა, დღის წესრიგში დადგება ახალი თამაშების საკითხი. აი მაშინ მაინც უნდა გამოიჩინოს სიფხიზლე სოკ-მა, რათა თავისი ძველი შეცდომა გამოასწოროს. 1980 წელს დაიწყება ფეხბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩები. ამ დროისთვის სპორტსმენებმა უნდა იცოდნენ, რომელ ტურნირში მოუწევთ თამაში. ჩვენის ღრმა რწმენით, ფიფა-ს ახალ კანონს დიდხნის სიცოცხლე არ უწერია“.

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ და მისმა პრეზიდენტმა ამჯერად თავისი გაიტანეს, მაგრამ აველანჟი აშკარად შეშფოთებულია. იგი არ მოელოდა ასეთ ოპოზიციას საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მხრიდან. აველანჟი, უკვე კარგა ხანია, ოცნებობს სოკ-ის პრეზიდენტობაზე. ამ მიზნის განსახორციელებლად კი მას თანამოაზრენი, მოკავშირენი სჭირდება, პირველ ყოვლისა იმათგან, ვისაც დღეს სოკ-ის აღმასკომში უკავიათ ხელმძღვანელი პოსტები. ამიტომ ფიქრობენ, რომ 1984 წლისთვის აველანჟი შეცვლის ამ კანონს...

ნ. გეგეშიძე.

ტონს ახალგაზრდები იძლევიან

მინსკი ამ დღეებში მეათედ მასპინძლობს „გაზაფხულის მერცხლებს“ — წყალში მხტომელთა დიდ საერთაშორისო ტურნირს. ტრადიციულად სწორედ ამ შეჯიბრებიდან იღებს სტარტს სპორტის ამ სახეობის წარმომადგენელთა სეზონი. წლევანდელი სეზონი კი ბევრ საინტერესო შეჯიბრებას გვპირდება. ესენია: ევროპის თასის გათამაშება, მსოფლიოს თასის გათამაშება, რომელიც წლეულს პირველად გაიმართება; სტუდენტთა მსოფლიოს უნივერსიადა და, რაც მთავარია — სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადა.

მანამდე კი მინსკში ერთმანეთს ეჯიბრება ავსტრიის, ბულგარეთის, უნგრეთის, გდრ-ს, გფრ-ს, კუბის, ესპანეთის, მექსიკის, პოლონეთის, რუმინეთის, აშშ-ს, ჩეხოსლოვაკიისა და მასპინძელთა გუნდების 100-მდე საუკეთესო წარმომადგენელი.

ქალთა შორის 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში ტონს ახალგაზრდა სპორტსმენები იძლეოდნენ. ყველას აჯობა გდრ-ს წარმომადგენელმა, 16 წლის ევროპის ჩემპიონმა იუნიორებს შორის და კონტინენტის პირველობის მეორე პრიზიორმა ქალებში ბ. როსემ — 643,22 ქულა. მეორე იყო ასევე 16 წლის კიეველი გოგონა ქ. ცირიულნიკოვა — 624,69. აღსანიშნავია, რომ კიეველი სპორტსმენისთვის ეს შეჯიბრება დებიუტი იყო უფროსთა შორის. III ადგილი წილად ხვდა ჩვენი ქვეყნის ნაკრების № 2 სპორტსმენს, მოსკოველ ო. დმიტრიევას — 623,74 ქულა.

აქვე უნდა ითქვას, რომ ასპარეზობაში არ მონაწილეობდნენ მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი, პენზელი ი. კალინინა და მოსკოველი ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ე. ვაიცეხოვსკაია, რომლებიც ამ შეჯიბრებამდე მსუბუქად დაშავდნენ.

მოზარდთა რესპუბლიკური..

განახლდა რესპუბლიკური პირველობა ფეხბურთში ჭაბუკთა კოლექტივებს შორის.

თბილისის არმიის სპორტკლუბის გუნდმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწია თბილისის „ავაზას“, მაგრამ მაინც დამარცხდა — 0:1.

თბილისის დინამოელებმა გასვლითი შეხვედრა მოუგეს ზუგდიდელ თანაკლუბელებს — 4:0, ხოლო გორის „დილა“ შინ დამარცხდა თბილისის განათლების სამმართველოს ოლიმპიური რეზერვის სპორტსკოლის გუნდთან — 2:4.

ანგარიში არ გახსნილა ლანჩხუთის „გურიისა“ და ბათუმის „დინამოს“, აგრეთვე, სოხუმის „დინამოსა“ და ქუთაისის „განთიადის“ შეხვედრებში. თბილისის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლისა და გლდანის სპორტსკოლის გუნდების შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1.

თბილისის დინამოელებმა სოხუმში ითამაშეს თანაკლუბელებთან და გაიმარჯვეს — 4:0.

უნდა აღინიშნოს, რომ გლდანის სპორტსკოლის გუნდის წევრმა დ. ეჯიბოვმა გაფრთხილება მიიღო მსაჯისგან. მსგავსი ამბები ნორჩ ფეხბურთელთა შეჯიბრებებში არ უნდა ხდებოდეს.

ფეხბურთი

„სიჭაბუკის თასზე“

18 მარტს რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სტადიონებზე განახლდება ლენინური კომკავშირის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი ნორჩ ფეხბურთელთა შეჯიბრება „სიჭაბუკის თასზე“.

ესაა II წრის მატჩები. ამ შეჯიბრების I წრე ჩატარდა მაღალ სპორტულ დონეზე, თუმცა ადგილი ჰქონდა გუნდების გამოუცხადებლობას, რისთვისაც გათამაშებიდან მოიხსნენ სიღნაღისა და ასპინძის რაიონების გუნდები. ეს ამბავი სიგნალად უნდა იქცეს ყველასთვის, რათა მოზარდ ფეხბურთელთა შეჯიბრებებზე ადგილი არ ჰქონდეს მსგავს შემთხვევებს. ქალაქებისა და რაიონების ფიზკულტურის კომიტეტები სრული პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ აღნიშნულ შეჯიბრებას, დაინიშნონ ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოები, რათა ნორჩებს ხელი შეუწყონ შემდგომი სპორტული ოსტატობისთვის.

სადღეისოდ მდგომარეობა ცალკეულ ზონებში ასეთია: **V ზონაში** ქულათა თანაბარი რაოდენობა (6) აქვთ ხობის, გეგეჭკორის, ზუგდიდის რაიონებისა და ქ. ზუგდიდის გუნდებს, **VI ზონაში** დაწინაურდნენ მახარაძელები — 9 ქულა, რომლებსაც 2 ქულით ჩამორჩნენ ფოთელები. **VII ზონაში** ერთბაშად 4 ლიდერია — სამტრედია, თერჯოლა, წულუკიძე და წყალტუბო. **VIII ზონაში** დაწინაურდნენ ქუთაისელი და საჩხერელი ფეხბურთელები. **IX ზონაში** წინ არიან ბოგდანოვკელები, ხოლო II ადგილზე იმყოფებიან ახალქალაქელები. **X ზონაში** 8 ქულა აქვთ რუსთაველ ფეხბურთელებს, 7 — მცხეთელებს.

ი. ბოჭორაძე,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

იზარდე, მწვანე ჯეჯილო!

გზატკეცილზე — ნორჩი ველომრბოლელები

ქუთაისელ ნორჩებში დიდად პოპულარულია ქალაქის განათლების განყოფილების ბავშვთა სპორტსკოლა. საგზატკეცილო ველორბოლის სექციაში 60-ზე მეტი მოსწავლე ვარჯიშობს. ისინი 8 ჯგუფად არიან დაყოფილნი. მათ დაოსტატებას გამოცდილი მწვრთნელები ემსახურებიან.

ამ სკოლის აღსაზრდელები, სპორტის ოსტატობის კანდიდატები: ნ. რამიშვილი, ვ. ლისოვსკი და დ. პატარიძე რესპუბლიკის ნაკრებში არიან. 12 მოსწავლე კი პირველთანრიგოსანია. სკოლა განსაკუთრებით ამაყობს თავიანთი აღზრდილის, მსოფლიოს ექს-ჩემპიონის, ოლიმპიური თამაშების პრიზიორისა და სსრ კავშირის ათგზის ჩემპიონის ო. ფხაკაძის სახელით.

ახლა ქუთაისში კარგი ამინდებია. ბუნების სიკეთეს ხელიდან არ უშვებენ ნორჩი ველოსიპედისტები და მომავალი შეჯიბრებისთვის ემზადებიან.

• • •

სურათებზე: მწვრთნელი მ. ხარაბაძე და მისი აღსაზრდელები; ვარჯიშის მომენტი.

გ. გერსამიასა და ფ. კრიმსკის (საქინფორმის) ფოტოები.

ჩვენი კონკურსი

II ტურის პასუხები

1. პირველად სიტყვა „სპარტაკიადა“ გამოიყენეს ჩეხოსლოვაკიაში 1921 წელს, როდესაც ადგილობრივმა მუშა სპორტსმენებმა გადაწყვიტეს ჩაეტარებინათ ოლიმპიადის მსგავსი სპორტული ზეიმი, რომელსაც „სპარტაკიადა“ ეწოდა. საბჭოთა კავშირში სიტყვა „სპარტაკიადა“ პირველად გაისმა 1924 წელს ლენინგრადში სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ პირველი კომპლექსური შეჯიბრების დროს.

2. სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მინიჭებული აქვს 9 უცხოელ სპორტსმენს: ვ. ლიუბანსკის (პოლონეთი), ნ. მარტინესკუს (რუმინეთი), თ. სტივენსონს (კუბა), ა. ბალცოს (უნგრეთი), ლი ხო ჯუნს (კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა), ხ. ბაიანმუხს (მონღოლეთი), მ. გიგოვას (ბულგარეთი), ა. ნეპელას (ჩეხოსლოვაკია), კ. იანცს (გდრ).

3. 1928 წლის საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონი კლასიკურ ჭიდაობაში (ქვემძიმე წონა) გახდა გერმანიის გუნდის წარმომადგენელი, ცნობილი ანტიფაშისტი ვერნერ ზეელენბინდერი. 1944 წლის 24 ოქტომბერს იგი ფაშისტებმა დახვრიტეს ბრანდენბურგში.

4. სსრ კავშირის ჩემპიონატზე 1948 წელს ხარკოვში ესტონელმა მძლეოსანმა ჰეინო ლიპმა (მწვრთნელი ფრედ კუდუ) საკავშირო რეკორდი დაამყარა — 7780 ქულა: 100 მ. — 11,4 წამი; სიგრძეზე ხტომა — 6 მ, 30 სმ; ბირთვის კვრა — 16 მ, 18 სმ; სიმაღლეზე ხტომა — 170 სმ; რბენა 400 მეტრზე — 50,2 წამი; 110 მეტრი თარჯრბენით — 15,4 წამი; ბადროს ტყორცნა — 47 მ, 55 სმ; ჭოკით ხტომა — 3 მ, 40 სმ; შუბის ტყორცნა — 61 მ, 96 სმ; 1500 მეტრი — 4 წუთი და 35 წამი.

5. სახელგანთქმული „თურქი მოჭადრაკის“ ავტორია უნგრელი გამომგონებელი და მექანიკოსი ვოლფგანგ კემპელენი. ამ ავტომატმა, რომელიც პირველად 1769 წელს წარმოადგინეს ვენაში, ითამაშა („მექანიკური მოთამაშე“, რომელშიც ფარულად მოჭადრაკე იყო მოთავსებული) 300 პარტია, აქედან წააგო მხოლოდ ექვსი.

6. III საერთაშორისო ახალგაზრდულ მეგობრულ სპორტულ თამაშებში კოშკურიდან წყალში მხტომელ ვაჟთა შორის გაიმარჯვა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა მიხეილ ჩაჩბამ.

7. პირველი ოფიციალური შეჯიბრება მშვილდოსნობაში საბჭოთა კავშირში ჩატარდა 1957 წელს მოსკოვში, III საერთაშორისო ახალგაზრდული მეგობრული სპორტული თამაშების დროს.

8. „გიდრაერი“ ეს არის გუნდი ლევ კასილის ცნობილი წიგნიდან „რესპუბლიკის მეკარე“. მასში მეკარედ თამაშობდა რომანის მთავარი პერსონაჟი ანტონ კანდიდოვი.

9. მოკრივე ვლადიმერ საფრონოვი ოლიმპიურ თამაშებზე პირველთანრიგოსნად ჩავიდა, იქიდან კი სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდებით დაბრუნდა.

10. ფოტოსურათზე გამოსახული სპორტსმენი ქალია მოციგურავე სონია ხენი — ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, ცნობილი კინოფილმის „მზიური ველის სერენადას“ ერთ-ერთი გმირი.

●

დღეს გთავაზობთ „ლელოს“ კონკურსის უკანასკნელ, მესამე ტურის 10 კითხვას. **შეგახსენებთ, რომ გამარჯვებულს ელის სსრ კავშირის ჩემპიონის თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა ავტოგრაფებიანი ბურთი** (მას ფოტოსურათზე ხედავთ). მეორე და მესამე ადგილებზე გამოსული სპორტის მოყვარულები დაჯილდოვდებიან სამახსოვრო თასითა და სპორტული ფოტოალბომით.

როგორი მდგომარეობაა განვლილი ორი ტურის შემდეგ. ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლებმა ა. კენჭაძემ და გ. სტურუამ, რომლებსაც პირველი ტურის შემდეგ მაქსიმუმი, 10-10 ქულა ჰქონდათ, მეორე ტურში კვლავ უმაღლესი შეფასება დაიმსახურეს და ახლა თითოეულს 20 ქულა აქვს. ბოლო ტურში თითო კითხვას ვერ უპასუხეს მ. ჭიჭინაძემ და ს. მაწონაშვილმა, რომლებსაც ახლა 19-19 ქულა აქვთ. გამარჯვების შანსებს ინარჩუნებენ აგრეთვე თ. კაკაურიძე, ბ. ფანჯარაძე, დ. კაციტაძე, ი. კაციტაძე, მ. კაპანაძე (ყველას — 18), ზ. თედორაძე (17), ზ. სვანიშვილი (16) და სხვა.

III ტურის კითხვები

1. ვინ არიან მოსკოვის ოლიმპიადის პიქტოგრამების, სამახსოვრო მედლებისა და ოფიციალური დიპლომების ავტორები?

2. დაგვისახელეთ ბავშვთა სპორტული შეჯიბრებები („ტყავის ბურთის“ მსგავსი), არანაკლებ ათისა.

3. ვინ უწოდა „დინამოს“ სახელი ჩვენი ქვეყნის ამ უძველეს და პოპულარულ სპორტსაზოგადოებას?

4. დაგვისახელეთ გაზეთ „კრასნი სპორტის“ პირველი გამოკითხვის — „ქვეყნის 10 საუკეთესო სპორტსმენი“ — ლაურეატები.

5. ვინ შედის ათწლეულის (1960-1970) 10 საუკეთესო „მფრინავ მოთხილამურეთა“ სიაში?

6. დაგვისახელეთ სპორტსმენები, რომლებსაც სსრ კავშირის ჩემპიონის მედლები აქვთ როგორც ფეხბურთში, ასევე ბურთიან და შაიბიან ჰოკეიში.

7. სად და როდის გაჩნდა მსოფლიოში პირველი სპორტული ნაგებობები? დაგვისახელეთ ქალაქები.

8. როდის შეიქმნა პირველი ოლიმპიური მედალი, სად ინახება იგი?

9. სად, როდის და ვისთან გაიმართა საბჭოთა კავშირში მსახიობ ფეხბურთელთა პირველი მატჩი. რა ანგარიშით დამთავრდა შეხვედრა, დაგვისახელეთ მსახიობთა გუნდის შემადგენლობა?

10 ვინ არის ეს ცხენოსანი?...



პასუხებს ველით 18 აპრილის ჩათვლით (საფოსტო შტემპელით).

არავის აინტერესებდა...

ნიუ-იორკი. რეკორდი, რომელსაც მატჩის არც ერთი მონაწილისთვის არ მოუტანია დიდება, დამყარებული იქნა ჰოკეის ეროვნული ლიგის ორი გუნდის — „ფილადელფია ფლაიერსისა“ და „ლოს-ანჯელეს კინგზის“ შეხვედრაში. თამაშის მსვლელობაში, რომელიც, როგორც ცნობილია, 60 წუთს გრძელდება, ორივე გუნდის ჰოკეისტებმა საჯარიმო სკამზე დაჰყვეს 380 წუთი.

მატჩის „გმირი“ გახდა „კინგზის“ მცველი რ. ჰოლტი, რომელიც საერთო ჯამში 57 წუთით იყო გაძევებული. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, მან მოედანზე დაჰყო სათამაშო დროის 3 წუთი.

პირველი პერიოდის დამთავრების შემდეგ მოედანზე ატყდა მუშტი-კრივი, რომელშიც უკლებლივ ყველა ჰოკეისტი ჩაერია, მათ შორის მეკარეები და სათადარიგოებიც. მხოლოდ 12 წუთის შემდეგ მსაჯებმა ძლივს დააშოშმინეს მოჩხუბრები.

დარჩენილი 20 წუთის განმავლობაშიც არ შემწყდარა კინკლაობა და ის ფაქტი, რომ ფილადელფიის გუნდმა გაიმარჯვა (6:3), თითქმის არავის აინტერესებდა...

(საქდესი).

რედაქტორი ა. ბასილაია.

ვ. ი. ლენინის
სახელობის „დინამოს“
სტადიონი
(ა. წერეთლის პრ. № 2)
20 მარტი
ფეხბურთი
სსრ კავშირის თასის
გათამაშება
„დინამო“ (თბილისი) —
„კრილია სოვეტოვი“
(კუიბიშევი)
დასაწყისი 18 ს. 30 წ.
ბილეთები გაიყიდება: ორგანიზაციებზე — 19 მარტს 11 საათიდან; საერთო გაყიდვა — 20 მარტს 11 საათიდან „დინამოს“ სტადიონის სალაროებში.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

ИНДЕКС 66435 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით